23-ე ქულა

ბაქო. (ტელეფონით ჩვენი სპეც. კორ.).

21 ივნისს ლენინის სახელობის სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი "ნეფტიანიკი" და თბილისის "დინამო". "დინამოს" თავდამსხმელთა ხუთეულში ამ დღეს შედიოდნენ: ჯოჯუა, ანთაძე, ვარდიმიადი, მახარაძე, თოდრია.

მატჩი დაიწყო თბილისელთა იერიშებით და უკვე მე-5 წუთზე "ნეფტიანიკის" მეკარემ არზუმანოვმა გაუშვა პირველი ბურთი. მე-20 წუთზე მახარაძემ და ვარდიმიადიმ კარგი კომბინაცია გაითამაშეს, რაც ლამაზი თავური დარტყმით ანთაძემ დააგვირგვინა და ანგარიში გახდა 2:0. ტაიმის ბოლომდე "დინამოს" კარში ერთი ბურთი მოექცა.

შესვენების შემდეგ თბილისელებმა ერთი გოლით გაზარდეს ანგარიში და მატჩი მოიგეს _ 3:1. ამრიგად, თბილისის "დინამოს" 16 თამაშის შემდეგ აქვს 23 ქულა და იგი გათამაშების ლიდერია.

ამა გუნდების დუბლშემადგენლობების მატჩი დამთავრდა ფრედ _ 0:0.

"ლელო", 23 ივნისი 1950 წ.